1022.10 ქვეთავის მიხედვით: "კვამლგაუმტარი შემომზღუდავები და დაწნევადი გზა-კიბეები და პანდუსები. შენობებში, რომლებიც უნდა აკმაყოფილებდეს 403.5.4 ან 405.7.2 ქვეთავის მოთხოვნებს, შიგა გასასვლელის გზა-კიბეები და პანდუსები უნდა იყოს დაუკვამლიანებელი შემოზღურული სივრცეები ან 909.20 ქვეთავის შესაბამისი დაწნევადი გზა-კიბეები ან პანდუსები".

სახანძრო მანქანის მისადგომის ყველაზე დაბალი დონიდან 23 მ-ის ზევით მდებარე სართულების მომსახურე თითოეული აუცილებელი გასასვლელის გზა-კიბე შეესაბამება 909.20 და 1022.10 ქვეთავით გათვალისწინებულ ნორმებს. კერძოდ:

1. პროექტით შიგა გასასვლელი გზა-კიბეები შემოზღვრული სივრცეებია და აღჭურვილია დაწნევადი სისტემებით.
2. კიბესთან მიდგომა შესაძლებელია ვესტიბიულიდან, რომლის ზომა არ არის ვესტიბიულში შემავალი დერეფნის სიგანეზე ნაკლები, მაგრამ არც 1,1 მ-ზე ნაკლები, ხოლო სიგრძე გასასვლელისკენ სავალი გზის მიმართულებით – 1,8 მ-ზე ნაკლები.

1707.7 ქვეთავის მიხედვით: "სახანძრო-სამაშველო დანაყოფისთვის მისადგომი ლიფტი სახანძრო-სამაშველო დანაყოფისთვის მისადგომი ლიფტის ფოიეში უნდა გადიოდეს, რომელიც 1707.4.1 – 1707.4.4 ქვეთავების მოთხოვნებს შეესაბამება".

პროექტით, სახანძრო-სამაშველო დანაყოფისთვის მისადგომი ლიფტის ფოიე უშუალოდ უკავშირდება შიგა გასასვლელის გზა-კიბისთვის განკუთვნილ შემომზღუდავს, რაც აკმაყოფილებს 1707.4.1 ქვეთავის მოთხოვნებს;

პროექტით, სახანძრო-სამაშველო დანაყოფისთვის მისადგომი ლიფტის ფოიე კვამლგაუმტარი ზღუდით არის შემოიზღუდული, რომლის ცეცხლმედეგობის ხარისხი, 2 საათია. რაც აკმაყოფილებს 1707.4.2 ქვეთავის მოთხოვნებს.

პროექტით, ლიფტის შახტში შესასვლელი კარის გარდა სახანძრო-სამაშველო დანაყოფისთვის მისადგომი ლიფტის ფოიეს ყველა გზა-კარი 716.5 ქვეთავის შესაბამისად კარის ანაწყობით არის აღიჭურვოს, რომლის ცეცხლმედეგობის ხარისხი 90 წუთია. ცეცხლმედეგი კარის ანაწყობი 716.5.3.1 ქვეთავის მოთხოვნებსაც აკმაყოფილებს. ამ მოთხოვნების მიხედვით კვამლისა და წევის მაკონტროლებელი კარის ანაწყობი UL 1784-ის შესაბამისად მოწმდება ძირში ხელოვნური საგმანავის განთავსების გარეშე. რაც აკმაყოფილებს 1707.4.3 ქვეთავის მოთხოვნებს;

ექსპერტი:
თორნიკე ჩიკვაიძე ----------

თარიღი : 30.03.2025

შენიშვნა:

გზა-კიბეების შემომზღუდავში ჩაყენებული კარი 907.3 ქვეთავის შესაბამისად დაყენებული კვამლაღმომჩენების გააქტიურებისთანავე ან კარის ღიად დამჭერი მექანიზმისათვის ელექტრომომარაგების შეწყვეტისთანავე ავტომატურად უნდა იხურებოდეს. ავტომატურად დაკეტვადი კარის ავტომატურად დახურვას, კვამლაღმომჩენის გააქტიურების შემდეგ 10 წამზე მეტი არ უნდა დასჭირდეს.

დამკვეთი
შპს „არქიბრამ"
ექსპერტი შემსრულებელი
არქიტექტორი თ. ჩიკვაიძე

საექსპერტო შეფასება



შესრულებულია არქიტექტურული პროექტის

“ტექნიკური რეგლამენტის “შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების”

დამტკიცების თაობაზე” საქართველოს მთავრობის

2016 წლის 28 იანვრის N41 დადგენილების

და N498 2017 წლის 20 ნოემბერს დადგენილებაში შეტანილი

ცვლილების ტექნიკური რეგლამენტის

მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით

ექსპერტი შემსრულებელი

არქიტექტორი

თორნიკე ჩიკვაიძე _____

25/11/2024 წ.

სატიტულო გვერდი

ფ № 2

თორნიკე ჩიკვაიძე



მობილური: 597090909

ელ-ფოსტა Renaissance2@gmx.com

ოჯახური მდგომარეობა დაოჯახებული

დაბადების თარიღი: 30.09.1986

განათლება

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი საქართველო, 09.2003 - 05.2008
არქიტექტორი, არქიტექტურა
ბაკალავრი

სამუშაო გამოცდილება

არქიტექტორი, შპს'იმედი-რ", 03.2016 - 03.2018, (24 თვე - 2 წელი და 0 თვე) მოვალეობები:

არქიტექტორი, შპს ომეგა ჯგუფი, 06.2014 - 05.2015, (11 თვე - 0 წელი და 11 თვე)

მოვალეობები პროექტის მენეჯერი, მშენებლობის ზედამხედველობა, არსებული პროექტის მიხედვით განხორციელება.

სტაჟიორი, შპს " პატიო-არტი", 05.2014 - 05.2014, (0 თვე - 0 წელი და 0 თვე) მოვალეობები

რეკლამების გაკეთება

სტაჟიორი, ქალაქ თბილისის მერიის ზედამხედველობისსამსახური, 10.2013 - 10.2013 (0 თვე - 0 წელი და 0 თვე)

მოვალეობები საველე სამუშაოებზე სიარული და არსებული შენობების პროექტთან შესაბამისობის დადგენა

წამოსვლის მიზეზი: გამომიჩნდა უკეთესი სამსახური

არქიტექტორი, შპს არქეოსი , 09.2012 - 08.2013, (11 თვე - 0 წელი და 11 თვე)

მოვალეობები პროექტირება

დირექტორი, შპს "რენესანსი' ს/ნ 404382342, 05.2010 - - დღემდე , (145 თვე - 12 წელი და 1 თვე)

მოვალეობები არქიტექტურული სამუშაოები და ფირმის მართვა.

არქიტექტორი, ი/მ ა. გულიაშვილი, 01.2009 - 11.2010, (22 თვე - 1 წელი და 10 თვე)

მოვალეობები პროექტირება

არქიტექტორი, . შპს უნივერსალ 07'', 03.2008 - 09.2010, (30 თვე - 2 წელი და 6 თვე)

დირექტორი, შპს "რენესანსი' ს/ნ 404382342, 05.2010 - - დღემდე , (145 თვე - 12 წელი და 1 თვე)

მოვალეობები არქიტექტურული სამუშაოები და ფირმის მართვა.

სრული სტაჟი 231 თვე (19 წელი და 3 თვე)

ენები

ქართული (მშობლიური)

ინგლისური (მეტყველება , წერა:)

კომპიუტერული პროგრამები

Microsoft Office PowerPoint (კარგი), Photoshop (კარგი), ArchiCAD (ძალიან კარგი), Microsoft Office Word (ძალიან კარგი), Microsoft Office Excel (კარგი), Windows (კარგი), AutoCAD (კარგი), Windows 7 (ძალიან კარგი), Adobe Premiere Pro (დამაკმაყოფილებელი),


GEORGIA
TECHNICAL UNIVERSITY OF GEORGIA
BACHELOR'S
DIPLOMA

B № 004630

By decision N 63 December 26, 2008
of the faculty of
Architecture, Urban Planning and Design
Mr. Tornike Chikvaidze
was awarded the Degree of Bachelor of
Architecture in
Architecture

Registration № 04211

Tbilisi 10 6 2010

საქართველო
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ბაკალავრის
დიპლომი

B № 004630

არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის
ფაკულტეტის 2008 წლის 26.12 № 63
გადაწყვეტილებით თორნიკე ჩიკვაიძეს
მიენიჭა არქიტექტურის
ბაკალავრის აკადემიური ხარისხი არქიტექტურის

სპეციალობით

Dean
Rector



09/08/2014	AR1243290	თანხობა	81.08.28.168 ;	ქალაქი თბილისი , გიორგი ლილუაშვილის ქუჩა , N 168 ;	მოქმედებაში ჩართული ინჟინერიული სისტემების ნაწილი.
06/05/2015	AR1307575	თანხობა	01.16.05.009.008,01.506 , 01.16.05.009.008,01.507 ;	ქალაქი თბილისი , ქუჩა ბაზისუბანი , N 16/18 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა ბაზისუბანი , N 16/18 ;	მოქმედებაში ჩართული სამშენებლო სამუშაოების ნაწილი.
14/07/2015	AR1321548	თანხობა	01.18.02.001.017 ;	ქალაქი თბილისი , ქუჩა ზოგანაული , N 1 ;	მოქმედებაში ჩართული სამშენებლო სამუშაოების ნაწილი.
05/08/2015	AR1331911	თანხობა	01.17.12.027.003 ;	ქალაქი თბილისი , 10 საბჭოთა ქალაქი , გასაცემელი საკვამი , 15-42-43 ;	მოქმედებაში ჩართული სამშენებლო სამუშაოების ნაწილი.
19/12/2015	AR1365297	თანხობა	01.14.11.053.010 ;	ქალაქი თბილისი , ქუჩა ცქიტიშვილი , N 16 ;	მოქმედებაში ჩართული სამშენებლო სამუშაოების ნაწილი.
15/12/2015	AR1364150	თანხობა	01.16.05.009.008,01.507 , 01.16.05.009.008,01.506 ;	ქალაქი თბილისი , ქუჩა ბაზისუბანი , N 16/18 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა ბაზისუბანი , N 16/18 ;	მოქმედებაში ჩართული სამშენებლო სამუშაოების ნაწილი.
18/02/2016	AR1379407	თანხობა	01.16.06.047.011 ;	ქალაქი თბილისი , დოქტორ ზუსაშვილი N16 ;	მოქმედებაში ჩართული სამშენებლო სამუშაოების ნაწილი.
04/04/2016	AR1391688	თანხობა	01.19.36.006.107 ;	ქალაქი თბილისი , გამსახურდიას ეროვნული გამზ. III , N 4-ა / ქალაქი თბილისი , ეროვნული გამსახურდია პრ. , ქუჩა N4 ;	მოქმედებაში ჩართული სამშენებლო სამუშაოების ნაწილი.
19/04/2016	AR1398028	თანხობა	01.18.03.068.002.01.010 ;	ქალაქი თბილისი , ქუჩა ლადო ასათიანი (ვერა ცქიტიშვილი), N 20 ;	მოქმედებაში ჩართული სამშენებლო სამუშაოების ნაწილი.
16/07/2016	AR1422369	თანხობა	01.72.14.042.107 ;	ქალაქი თბილისი , სოფელი დიდი დიდი , ;	მოქმედებაში ჩართული სამშენებლო სამუშაოების ნაწილი.
08/08/2016	AR1430006	განხორციელდა	01.11.12.005.158 ;	ქალაქი თბილისი , ვერკინი , V ჩმ , კორპუსი N11-ის მიმდებარე ტერიტორია;	მოქმედებაში ჩართული სამშენებლო სამუშაოების ნაწილი.
06/09/2016	AR1437144	თანხობა	81.21.13.041 ;	ქალაქი თბილისი , ხერხიანტყვრე შუერეთის , ;	მოქმედებაში ჩართული სამშენებლო სამუშაოების ნაწილი.
04/10/2016	AR1446091	თანხობა	01.19.36.014.370 ;	ქალაქი თბილისი , რაიონი საბურთალო , ნაკვეთი N13 ;	მოქმედებაში ჩართული სამშენებლო სამუშაოების ნაწილი.
21/10/2016	AR1444463	თანხობა	72.13.42.470 ;	ზესტაფონი , სოფელი კულდარა ;	მოქმედებაში ჩართული სამშენებლო სამუშაოების ნაწილი.
24/10/2016	AR1450320	თანხობა	81.08.13.203 ;	ქალაქი თბილისი , დიდი დიდი, სოფელი ნაბაღარი ;	მოქმედებაში ჩართული სამშენებლო სამუშაოების ნაწილი.
08/12/2016	AR1462558	განხორციელდა	01.18.03.068.002.01.010 ;	ქალაქი თბილისი , ქუჩა ლადო ასათიანი (ვერა ცქიტიშვილი), N 20 ;	მოქმედებაში ჩართული სამშენებლო სამუშაოების ნაწილი.
28/11/2016	AR1459156	თანხობა	01.17.09.049.078 ;	ქალაქი თბილისი , სანაძეს ფასხურეთი , ქუჩა ეიგეთი , N 36 / ქალაქი თბილისი , ფასხურეთი ნაკლულევი , ბინა ეიგეთი , N 1 ;	მოქმედებაში ჩართული სამშენებლო სამუშაოების ნაწილი.
18/01/2017	AR1471428	განხორციელდა	01.19.36.006.113 ;	ქალაქი თბილისი , ეროვნების გამსახურდია III კ , N4-ა ბინებისკენ / ქალაქი თბილისი , ფასხურეთი გამსახურდია პრ. , ქუჩა N4 ;	მოქმედებაში ჩართული სამშენებლო სამუშაოების ნაწილი.
10/02/2017	AR1477649	განხორციელდა	01.12.07.007.025 ;	ქალაქი თბილისი , ქუჩა ზარსკოი , N 52 ;	მოქმედებაში ჩართული სამშენებლო სამუშაოების ნაწილი.
28/12/2016	AR1466332	თანხობა	01.19.37.016.154 ;	ქალაქი თბილისი , რაიონისაფლაოების მიმდებარე ტერიტორია;	მოქმედებაში ჩართული სამშენებლო სამუშაოების ნაწილი.
22/03/2017	AR1488349	განხორციელდა	01.17.02.046.002 ;	ქალაქი თბილისი , ქუჩა კოსტავა , N 12 ;	მოქმედებაში ჩართული სამშენებლო სამუშაოების ნაწილი.
06/01/2017	AR1467799	განხორციელდა	72.13.10.236 ;	ქალაქი თბილისი , დასახლება ზესტაფონი 2 , ქუჩა გამარჯვება , N 87 ;	მოქმედებაში ჩართული სამშენებლო სამუშაოების ნაწილი.

27/02/2017	AR1480696	თანხობა	81.08.13.203 ;	ქალაქი თბილისი , დიდი დიდი, სოფელი ნაბაღარი ;	მოქმედებაში ჩართული სამშენებლო სამუშაოების ნაწილი.
27/12/2016	AR1466897	თანხობა	01.12.09.026.002 ;	ქალაქი თბილისი , ქუჩა ცაიში , N 109 ;	მოქმედებაში ჩართული სამშენებლო სამუშაოების ნაწილი.
28/03/2017	AR1490351	თანხობა	01.19.36.006.113 ;	ქალაქი თბილისი , ეროვნების გამსახურდია III კ , N4-ა ბინებისკენ / ქალაქი თბილისი , ფასხურეთი გამსახურდია პრ. , ქუჩა N4 ; / ქალაქი თბილისი , ეროვნების გამსახურდია III კ , ქუჩა N4 ;	მოქმედებაში ჩართული სამშენებლო სამუშაოების ნაწილი.
09/03/2017	AR1488622	თანხობა	01.16.05.009.008 ;	ქალაქი თბილისი , ქუჩა ბაზისუბანი , N 16/18 ;	სარემონტო/ადაპტაციო სამუშაოები (ფიზიკური კეთილმოწყობა, ტექნიკური ინფრასტრუქტურა, რესტავრაცია, არქიტექტურა) ეროვნული მნიშვნელობის ძეგლის ობიექტზე მშენებლობის ნებართვა
02/05/2017	AR1495518	თანხობა	72.13.10.236 ;	ქალაქი თბილისი , დასახლება ზესტაფონი 2 , ქუჩა გამარჯვება , N 87 ;	მოქმედებაში ჩართული სამშენებლო სამუშაოების ნაწილი.
08/06/2017	AR1510371	განხორციელდა	01.12.07.007.025 ;	ქალაქი თბილისი , ქუჩა ზარსკოი , N 52 ;	სამშენებლო ნებართვით სამშენებლო სამუშაოები (ეროვნული მნიშვნელობის ძეგლის ობიექტის გარდა) III ჯგუფი მიმდებარე ტერიტორიის დაშენების სტანდარტით განსაზღვრული მშენებლობის ნებართვა
07/06/2017	AR1511217	განხორციელდა	01.17.09.049.078 ;	ქალაქი თბილისი , სანაძეს ფასხურეთი , ქუჩა ეიგეთი , N 36 / ქალაქი თბილისი , ფასხურეთი ნაკლულევი , ბინა ეიგეთი , N 1 ;	მოქმედებაში ჩართული სამშენებლო სამუშაოების ნაწილი.
09/08/2017	AR1531283	თანხობა	01.72.14.042.107 ;	ქალაქი თბილისი , სოფელი დიდი დიდი , ;	მოქმედებაში ჩართული სამშენებლო სამუშაოების ნაწილი.
25/07/2017	AR1527400	თანხობა	01.17.09.049.078 ;	ქალაქი თბილისი , სანაძეს ფასხურეთი , ქუჩა ეიგეთი , N 36 / ქალაქი თბილისი , ფასხურეთი ნაკლულევი , ბინა ეიგეთი , N 1 ;	მოქმედებაში ჩართული სამშენებლო სამუშაოების ნაწილი.
27/06/2017	AR1518141	თანხობა	01.17.02.046.002 ;	ქალაქი თბილისი , ქუჩა კოსტავა , N 12 ;	მოქმედებაში ჩართული სამშენებლო სამუშაოების ნაწილი.
18/10/2017	AR1521365	თანხობა	01.72.14.022.334 ;	ქალაქი თბილისი , სოფელი დიდი დიდი, ფასხურეთის I ჩიხი N1/ ქალაქი თბილისი , სოფელი დიდი დიდი , "ვაშლის უბანი" ;	მოქმედებაში ჩართული სამშენებლო სამუშაოების ნაწილი.
27/06/2017	AR1517848	განხორციელდა	01.18.05.002.113 ;	ქალაქი თბილისი , მოედანი ვერა , ქუჩა გორგასლის N28- ის და N30 - ის მიმდებარედ, ქუჩა გორგასლის N30 , მცირედ N28/2 / ქალაქი თბილისი , მოედანი ვერა , ვერას ქუჩისა და გორგასლის ქუჩის კვეთების მიმდებარედ / ქალაქი თბილისი , მოედანი ვერა , ქუჩა გორგასლის N28- ის და N30 - ის მიმდებარედ , მოედანი	მოქმედებაში ჩართული კომპლექსური მშენებლობის N კუნძული ახალი მშენებლობა , პროექტის შეფასება
15/04/2018	AR1592616	თანხობა	81.02.10.813 ;	ქალაქი თბილისი , სოფელი მუხიანი , ქალაქი თბილისი , სოფელი მუხიანი , ქალაქი თბილისი , სოფელი მუხიანი ;	მოქმედებაში ჩართული : დამხმარე ტექნიკური შენობები N კუნძული ახალი მშენებლობა , პროექტის შეფასება
16/08/2018	AR1623477	თანხობა	01.17.09.049.078 ;	ქალაქი თბილისი , ფასხურეთი ნაკლულევის ქუჩა , N 36 ;	მოქმედებაში ჩართული სამშენებლო სამუშაოების ნაწილი.
20/09/2018	AR1631973	განხორციელდა	81.21.13.041 ;	ქალაქი თბილისი , ზესტაფონის ხეობის ქუჩა , N 13ბ ;	მოქმედებაში ჩართული სამშენებლო სამუშაოების ნაწილი.
04/04/2019	AR1671617	უარყოფა	01.72.14.042.107 ;	ქალაქი თბილისი , სოფელი დიდი დიდი , ფასხურეთის ნაკლულევი ქუჩა , N 61 ;	მოქმედებაში ჩართული სამშენებლო სამუშაოების ნაწილი.
11/04/2019	AR1674346	თანხობა	01.17.10.001.065 ;	ქალაქი თბილისი , ზალა მშვილიანის ქუჩა , N8ა ;	მოქმედებაში ჩართული სამშენებლო სამუშაოების ნაწილი.
29/09/2020	AR1776889	თანხობა	81.02.10.813 ;	ქალაქი თბილისი , სოფელი მუხიანი / ქალაქი თბილისი , სოფელი მუხიანი / ქალაქი თბილისი , სოფელი მუხიანი ;	მოქმედებაში ჩართული სამშენებლო სამუშაოების ნაწილი.
16/11/2020	AR1785442	თანხობა	01.17.10.001.065 ;	ქალაქი თბილისი , ზალა მშვილიანის ქუჩა N8ა ;	მოქმედებაში ჩართული სამშენებლო სამუშაოების ნაწილი.
24/02/2022	AR1880269	განხორციელდა	72.16.33.082 ;	ქალაქი თბილისი , სოფელი ორხევი ;	მოქმედებაში ჩართული სამშენებლო სამუშაოების ნაწილი.
04/05/2022	AR1896518	თანხობა	72.16.33.083 ;	ქალაქი თბილისი , სოფელი ორხევი ;	მოქმედებაში ჩართული სამშენებლო სამუშაოების ნაწილი.
19/08/2022	AR1918777	თანხობა	01.17.02.046.002 ;	ქალაქი თბილისი , ქუჩა კოსტავა , N 12 ;	მოქმედებაში ჩართული სამშენებლო სამუშაოების ნაწილი.

მონაცემები ამოღებულია
ქ. თბილისის
არქიტექტურის სამსახურის
ოფიციალური ვებ
გვერდიდან (tas.ge)

ექსპერტი: _____ : 25.01.2024

ფ № 3

სარჩევი

ფ №	შემადგენლობა	
	შესავალი	**4 - 7**
4	გამოყენებული მასალები	
5	ტერმინრბი და განმარტებები	
6	წარმოდგენილი მასალები და მოსაკვლევი ნაწილები	
7	პროექტის აღწერა	
	საექსპერტო შეფასება	**8 - 18**
8	დაკავებულობებისა და დაკავებულობის დატვირთვების შეფასება	
9	კონსტრუქციის ტიპების შეფასება	
9	სიმაღლისა და ფართობის შეფასება	
10	გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომის, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების შეფასება	
11	გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელი საშვალებების გამტარუნარიანობის შეფასება	
12	მისაწვდომობის შეფასება	
13	გარე კედლებისადმი მოთხოვნების შეფასება	
13	სახურავის ანაწყობის შეფასება	
14	ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავების შეფასება	
15	ხანძრისგან დაცვის სისტემების შეფასება	
16	წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასება	
17	ლიფტების შეფასება	
17	ავტოსადგომებისადმი მოთხოვნების შეფასება	
18	დასკვნა	

ფ № 4

გამოყენებული მასალები

არქიტექტურული პროექტი მოწოდებულია საპროექტო ორგანიზაცია შპს ,,მონოლით თაუერს"_ის მიერ

მთავარი არქიტექტორი: ავთანდილ ღოღობერიძე

ავტორ(ებ)ი: ავთანდილ ღოღობერიძე

შენიშვნა:

მოცემული დოკუმენტაციის სისწორეზე და რეალობასთან შესაბამისობაზე

პასუხისმგებელია მომწოდებელი მხარე.

გამოყენებული (კანონმდებლობა, რეგლამენტები, წესები, სტანდარტები.....)

1. „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილება, საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 თებერვლის №63 დადგენილება.

2. ტექნიკური რეგლამენტის „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე ,,საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილება".

3. N 498 2017 წლის 20 ნოემბრის დადგენილებაში შეტანილი ცვლილებების ტექნიკური რეგლამენტის „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე

წესები - შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები.

შშმ - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე

შენიშვნები:

1. საექსპერტო დასკვნა წარმოადგენს სანებართვო არქიტექტურული პროექტის საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41დადგენილებასთან ტექნიკური რეგლამენტის – "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების "დამტკიცების თაობაზე" შესაბამისობის შეფასებას და არ მოიცავს საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ, სამშენებლო სფეროში გამოყენებულ სხვა რაიმე დადგენილებასთან შესაბამისობის ანალიზს.

2. საექსპერტო დასკვნისთვის მოწოდებული დოკუმენტაციის სისწორეზე და რეალობასთან შესაბამისობაზე პასუხისმგებელია მომწოდებელი მხარე.

3. საექსპერტო დასკვნაში გამოყენებული ტერმინები (დაკავებულობა, დაკავებულობის დატვირთვა,მისაწვდომობა და სხვ.) შეესაბამება შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებში გამოყენებულ ტერმინებს და უნდა განიმარტოს აღნიშნული წესების მიხედვით. განუმარტავი ტერმინები საყოველთაოდ მიღებული მნიშვნელობით გამოიყენება.

ფ № 6

წარმოდგენილი მასალები და მოსაკვლევი ნაწილები

შესავალი

წარმოდგენილი მასალები:

არქიტექტურული პროექტი („საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებაში, საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 თებერვლის №63 დადგენილებით შეტანილი ცვლილებების საფუძველზე 47-ემუხლით (მუხლი 47." არქიტექტურული პროექტის შემადგენლობა") განსაზღვრული არქიტექტურული პროექტით. საექსპერტო დასკვნა მოიცავს არქიტექტურული პროექტის ნაწილების შეფასებას ტექნიკურ რეგლამენტთან - "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების" შესაბამისობაზე საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 თებერვლის №63 დადგენილების („მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე) მე-5 მუხლის, მე-3 პუნქტის მიხედვით. დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №20-105 დადგენილებით დამტკიცებული „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის“ თანახმად) გათვალისწინებული შემადგენლობით. საქართველოს მთავრობს 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილების და №498 2017 წლის 20 ნოემბერს დადგენილებაში შეტანილი ცვლილები ტექნიკური რეგლამენტის „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე). განსაზღვრული არქიტექტურული პროექტი.

შენიშვნა:

მოცემული დოკუმენტაციის სისწორეზე და რეალობასთან შესაბამისობაზე პასუხისმგებელია მომწოდებელი მხარე.

გადმოცემული მასალა აკმაყოფილებს საქართველოს მთავრობის 2009 წლის №57 დადგენილების 47 მუხლით განსაზღვრულ არქიტექტურული პროექტის შემადგენლობას და სრულად იძლევა ზემოაღნიშნული ექსპერტიზის ჩატარების შესაძლებლობას.

მოსაკვლევი ნაწილები:

საექსპერტო დასკვნის შესადგენად გამოყენებულ იქნა დამკვეთის მიერ მოწოდებული დოკუმენტაცია: („მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილებაში, საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 თებერვლის N 63 დადგენილებით შეტანილი ცვლილების საფუძველზე 47-ე მუხლით (მუხლი 47 „არქიტექტურული პროექტის შემადგენლობა“) განსაზღვრული არქიტექტურული პროექტი). საექსპერტო დასკვნა მოიცავს არქიტექტურული პროექტის ნაწილის შეფასებას, ტექნიკურ-რეგლამენტთან, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 თებერვლის N 63 -ე დადგენილების მე-5 მუხლის, მე-3 პუნქტის მიხედვით.

წინამდებარე საექსპერტო შეფასება მოიცავს არქიტექტურული პროექტის შემდეგ ნაწილებს:

I. ------ დაკავებულობ(ებ)ისა და დაკავებულობის დატვირთვების შეფასებას;

II. ----- კონსტრუქციის ტიპების შეფასებას;

III. ---- სიმაღლისა და ფართობის შეფასებას;

IV. ---- გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების შეფასებას;

V. ----- გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობების შეფასებას;

VI. ---- მისაწვდომობის შეფასებას;

VII. --- გარე კედლებისადმი მოთხოვნების შეფასებას;

VIII. -- სახურავის ანაწყობების შეფასებას;

IX. ---- ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავების შეფასებას;

X. ----- ხანძრისაგან დაცვის სისტემების შეფასებას;

XI. ---- წყალსადენის სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასებას;

XII. --- ლიფტების შეფასებას;

XIII. -- ავტოსადგომებისადმი მოთხოვნების შეფასებას.

ფ № 7

პროექტის აღწერა

შესავალი

პროექტს წინაპირობად უდევს ქ. თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სამსახურის №**397**, **08/25/2023** გადაწყვეტილება, განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების თაობაზე.

წარმოდგენილი პროექტი შესრულებულია დამკვეთის დავალებით, ,,ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებისა" და ,,საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილების" შესაბამისად.

პროექტის მიზანს წარმოადგენს მრავალფუნქციური კომპლექსის (შენობა N 4) მშენებლობა, თანამედროვე გეგმარებითი პრინციპების გათვალისწინებით.

შესაბამისი ფუნქციებით: საცხოვრებელი, კომერციული, საოფისე (დასაშვებია არასაცხოვრებელი, ზონის შესაბამისი ფუნქციების არსებობა, არა უმეტეს საერთო ფართობის 25 %-სა).

საპროექტო მიწის ნაკვეთი წარმოადგენს კერძო საკუთრებას და მდებარეობს ქალაქ თბილისში, დიღმის აგრარული სადგელი სამეურნეო მიწის ნაკვეთების, კათალიკოს აბრაჰამ I_ს ქუჩის მიმდებარედ. საპროექტო ტერიტორიის ფართობი 5276,0 კვ/მ-ია. ტერიტორია ხასიათდება სწორი რელიეფით. მისასვლელი გზა გააჩნია დასავლეთის მხრიდან (იხ. გენ.გეგმა). საპროექტო შენობა 23 სართულიანია, გააჩნია 3 მიწისქვეშა სართული. წარმოდგენილი პროექტის მიხედვით სავალდებულო ავტოსადგომების რაოდენობა 65 ერთეულია, საპროექტოდ შემოთავაზებულია 65 ერთეულია. აქედან 4 ავტოსადგომი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის არის განკუთვნილი.

-9,000 ნიშნულზე განთავსებულია დამხმარე სათავსი საშხეფი სისტემებისათვის განკუთვნილი ავზი და ავტოპარკინგი. -6.00 ნიშნულზე დაგეგმარებულია პარკინგები დამხმარე სათავსი. -3.00 ნიშნულზე განთავსებულია პარკინგები; ხანძრის მართვის ოთახი; კომერციული ფართი და დამხმარე ფართი. 0.00 სართულზე განთავსებულია კომერციული ფართი და შენობის მთავარი შესასვლელი. +3,90 ნიშნულზე ასევე განლაგებულია კომერციული ფართი +7,200 დან +13,800 ნიშნულის ჩათვლით საოფისე ფართებია განლაგებული ხოლო დანარჩენ სართულებზე განლაგებულია საცხოვრებელი ბინები. სულ დაგეგმარებულია 198 ბინა შენობის სახურავზე განთავსებულია დამხმარე სათავსი და ლიფტების სამანქანო.

საპროექტო შენობის არქიტექტურული პროექტის ძირითადი სტრუქტურული სისტემის კონსტრუქცია წარმოადგენს რკინა-ბეტონის კარკასულ ნაგებობას. გაძლიერებული მონოლითური, სართულშუა გადახურვის ფილებით და სახურავის ფილად გამოყენებულია ასევე გაძლიერებული ბეტონის ფილა. ფასადები შევსებულია ბეტონის წვრილი სამშენებლო ბლოკით (20 X 40 X 20), ხოლო ბინათაშორის სატიხარ ბლოკად გამოყენებულია (20 X 40X20). საძირკვლის ტიპად განიხილება კომბინირებული კონსტრუქციის ფუნდამენტი. გადახურვის ფენილი შედგება - რკინა-ბეტონის მონოლითურ გადახურვის ფილაზე მოწყობილი ორთქლიზოლაციისაგან, მსუბუქი შემავსებლის (პემზისგან, რომლითაც მოწყობილია დახრები), ქვიშაცემენტის ხსნარით მოწყობილი მოჭიმვის, ორი ფენა ჰიდროიზოლაციის. ექსტრუდირებული პოლისტიროლის, გეოტექსტილის და მასზედ მოწყობილი კენჭნარისაგან. მასზე მოწყობილია პლასტმასის ბადით არმირებული ქვიშაცემენტის ხსნარით მოჭიმვა, ჰიდროიზოლაცია და დამცავი ფენა. პროექტით გათვალისწინებულია ყველა ბინისთვის სახანძრო მანქანის მისადგომი. შენობის ღიობებში გათვალისწინებულია მეტალო-პლასტამასის კარ-ფანჯარა და ალუმინის ვიტრაჟები. კედლების ცეცხლმედეგობის შესაბამისად გათვალისწინებულია ყველა ღიობის ცეცხლმედეგობა. საცხოვრებელი ბინები ერთმანეთისგან გამიჯნულია ორ საათიანი ცეცხლმედეგი კედლებით. შენობიდან გამოსვლა შესაძლებელია შემოზღუდული გზა-კიბეების მეშვეობით. შენობის ლიფტი და დერეფანი აღჭურვილია მექანიკური განიავების სისტემით. საპროექტო შენობა მოცემული სიმაღლიდან გამომდინარე (74,6 მ.) გადის მაღლივი შენობების კატეგორიაში და შეესაბამება შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესების განმარტებას მაღლივ შენობასთან დაკავშირებით - "მაღლივი შენობა“. (შენობა, რომლის დაკავებული იატაკი მდებარეობს სახანძრო მანქანის მისადგომი ყველაზე დაბალი დონიდან 23 მ-ზე ზემოთ.)- ქვეთავი 202.

შენობის ძირითადი სტრუქტურული სისტემა წარმოადგენს კარკასულ სტრუქტურას. გაძლიერებული მონოლითური კოჭებით და სვეტებით, სართულშუა გადახურვად და სახურავის ფილად გამოყენებულია ასევე ბეტონის გაძლიერებული ფილა, შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების მიხედვით შერჩეულია I-A კლასის კონსტრუქციის ტიპი.

შენიშვნა:

პროექტის არქიტექტურული და კონსტრუქციული ნაწილი დამუშავებულია ქვეყანაში არსებული სამშენებლონორმების მიხედვით.

პროექტი ითვალისწინებს საპროექტო შენობაში განთავსებულ თითოეული ტიპის დაკავებულობისთვის შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებით განსაზღვრულ ყველა დეტალურ მოთხოვნას, დაკავებულობები არის კლასიფიცირებული მე-3 თავის მიხედვით და შეესაბამება 302- ქვეთავს. პროექტში გამოყენებულია შემდეგი ჯგუფები:

მცირე საფრთხის შემცველი სასაწყობო სწ-2;
დამხმარე სათავსი დს;
სავჭრო სვ;
საქმიანი სქ;
საცხოვრებელი სც-2.

შენობაში არსებული თითოეული დაკავებულობისთვის განსაზღვრულია დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორი 1004.1.2 ცხრილის მიხედვით. სწორად არის არჩეული სივრცეების დანიშნულება და შემდგომ ამ სივრცეების იატაკის ფართობი გაყოფილია შესაბამისი დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორზე, კერძოდ:

სასაწყობო ჯგუფის ქვეჯგუფი სწ-2 (შემოზღუდული ავტოსადგომი-9,00-6,00და-3,00 ნიშნულზე) წესების 311.3 ქვეპუნქტის მიხედვით აღნიშნული დაკავებულობა მოიცავს შენობებს, სადაც არაწვადი მასალები ინახება და მიეკუთვნება მცირე საფრთხის შემცველ სასაწყობო ჯგუფს. მთლიანი ფართობი (ფართობი ერთეულის შემომსაზღვრელ კედლებს შორის) გაყოფილია შესაბამის დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორზე - 18,6-ზე.

დამხმარე ჯგუფი დს (მიწისქვეშა სართულზე არსებული სარდაფის დამხმარე სათავსო) -9,00-6,00და-3,00 ნიშნულზე) სივრცის დაკავებულობა სწორად არის განსაზღვრული და შეესაბამება „წესების“ 312 ქვეთავს. მთლიანი ფართობი (ფართობი ერთეულის შემომსაზღვრელ კედლებს შორის) გაყოფილია შესაბამის დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორზე - 27,9-ზე.

სავაჭრო ჯგუფის (სვ) დაკავებულობა (საცალო და საბითუმო მაღაზიები -3,00 ±0.00 და+3,90 ნიშნულზე) წესების 309.1 ქვეთავის მიხედვით აღნიშნული დაკავებულობა მოიცავს ისეთ შენობებსა და ნაგებობებს ან მათი ნაწილების გამოყენებას, სადაც გამოფენილია და იყიდება საქონელი, ასევე, განთავსებულია ამგვარი საქონლის მარაგი და მისაწვდომია საზოგადოებისათვის. მთლიანი ფართობი (ფართობი ერთეულის შემომსაზღვრელ კედლებს შორის) გაყოფილია შესაბამის დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორზე - 2,8-ზე.

საქმიანი ჯგუფის (სქ) დაკავებულობა (საოფისე ერთეულები+7,20 - +13,8 ნიშნულზე) წესების 304.1 ქვეთავის მიხედვით აღნიშნული დაკავებულობა მოიცავს შენობისანნაგებობის ან მისი ნაწილის გამოყენებას საოფისე, პროფესიული ან სამომსახურებო ტიპის საქმიანობებისთვის, მათ შორის, ჩანაწერებისა და ანგარიშების შესანახად. მიწისპირა სართულის მთლიანი ფართობი (ფართობი ერთეულის შემომსაზღვრელ კედლებს შორის) გაყოფილია შესაბამის დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორზე - 9,3 -ზე, ხოლო მეორე სართულის მთლიანი ფართობი (ფართობი ერთეულის შემომსაზღვრელ კედლებს შორის) გაყოფილია შესაბამის დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორზე - 5,6 -ზე.

საცხოვრებელი ჯგუფის ქვეჯგუფი სც-2, წესების 310.4 ქვეთავის მიხედვით აღნიშნული დაკავებულობა მოიცავს მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებს, საცხოვრებელი ან სამინებელი ერთეულებით, სადაც დამკავებლები მუდმივად ცხოვრობენ. მთლიანი ფართობი (ფართობი ერთეულის შემომსაზღვრელ კედლებს შორის) გაყოფილია შესაბამის დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორზე ანუ 18,6-ზე. აღნიშნული დაკავებულობები განთავსებულია შენობის +17,00 ნიშნულიდან +71,40 ნიშნულის ჩათვლით გათვალისწინებულ სართულებზე.

საცხოვრებელი ერთეულები დაგეგმარებულია წესების 1208 ქვეთავის გათვალისწინებით, კერძოდ, თითოეული საცხოვრებელი ერთეული შეესაბამება 1208.1 ქვეპუნქტით განსაზღვრულ ოთახის მინიმალური სიგანის მოთხოვნას (პროექტის მიხედვით მინიმალური სიგანე 2,50 მეტრი), 1208.2 ქვეპუნქტით განსაზღვრულ ჭერის მინიმალური სიმაღლის მოთხოვნას (პროექტის მიხედვით მინიმალური სიმაღლე 2,8 მეტრი) და 1208.4 ქვეპუნქტის მოთხოვნას კომპაქტურ საცხოვრებელ ერთეულთან დაკავშირებით (ბინის მინიმალური ფართობი 27,3 კვ.მ), ასევე საცხოვრებელ ერთეულებში დაცულია მე-12 თავით განსაზღვრული სხვა მოთხოვნებიც შიგა გარემოსთან დაკავშირებით.

შენიშვნა:
დაკავებულობების დატვირთვების გამოანგარიშება განხორციელებულია №41 დადგენილების მე-10 თავის 1004 ქვეთავისდა 1004.1.2 ცხრილის მიხედვით (დაკავებულობის დატვირთვის მაჩვენებლები დამრგვალებულია მთელი რიცხვის სიზუსტით).

დამკვეთი

ექსპერტი შემსრულებელი

არქიტექტორი | ი. ნიკვაიძე

კონსტრუქციის ტიპები:

შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების მიხედვით საპროექტო შენობისთვის გამოყენებული მასალების ცეცხლმედეგობის (განსაზღრულია 721.1 ცხრილის მიხედვით) , შენობაში არსებული დაკავებულობების საფუძველზე და შენობის საპროექტო სიმაღლიდან გამომდინარე, შენობისთვის განსაზღრულია I-A კონსტრუქციის ტიპი. შენობის ელემენტები-ძირითადი სტრუქტურული ჩარჩო (გაძლიერებული ბეტონის კარკასი), იატაკის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილები (გაძლიერებული ბეტონის მონოლითური ფილა), სახურავის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილები (გაძლიერებული ბეტონის მონოლითური ფილა დასრულებული ბრტყელი გადახურვის კონსტრუქციით) აკმაყოფილებს 601 ქვეთავს, 601 ცხრილის მოთხოვნებს, პროექტის მიხედვით ზემოთ აღწერილი ელემენტების ცეცხლმედეგობის ხარისხი 721 ქვეთვაში აღწერილი მასალათა სპეციფიკაციიდან გამომდინარე შეადგენს მინიმუმ 2 საათს, ხოლო, იატაკის კონსტრუქციისთვის მინიმუმ 2 საათს და შეესაბამება 601 ცხრილში I-A კონსტრუქციების ტიპისთვის მოთხოვნილ ცეცხლმედეგობის ხარისხს. გარე კედელების ცეცხლმედეგობის ხარისხი აკმაყოფილებს წესების 602 ცხრილში განსაზღრულ მინიმუმს, ხანძარსაწინააღმდეგო მანძილიდან და გარე კედლების სამშენებლო მასალიდან გამომდიანრე, რაც ქვემოთ უფრო დეტალურად იქნება აღწერილი.

სიმაღლისა და ფართობის შეფასება:

საპროექტო შენობის სიმაღლე და ფართობი განსაზღვრულია წესების მე-5 თავის 503-ცხრილის მიხედვით, შენობაში არსებული დაკავებულობების და კონსტრუქციის ტიპიდან (I-A) გამომდინარე შენობის ყველა ნაწილი აკმაყოფილებს განსაზღვრულ ნორმებს.

შენობის სიმაღლე მიწის დონიდან არის 76,00 მეტრი, ხოლო შენობის ყველაზე მაღალი დაკავებული იატაკი მდებარეობს სახანძრო მანქანის მისადგომი ყველაზე დაბალი დონიდან 71,40 მ-ზე ანუ 23 მ-ზე ზემოთ და შესაბამისად „წესების“ განმარტების მიხედვით შენობა არის მაღლივი.

იქიდან გამომდინარე, რომ საპროექტო შენობა აკმაყოფილებს I-A კონსტრუქციის ტიპისთვის განსაზღვრულ მოთხოვნებს, წესების 503-ე ცხრილის მიხედვით შენობის დასაშვები სიმაღლე და სართულიანობა, თითოეული დაკავებულობისთვის (სწ-2, სვ, სქ, სც-2 და დს) არის შეუზღუდავი. წესების 503 ცხრილის მიხედვით სართულის დასაშვები ფართობი თითოეული დაკავებულობისთვის (სწ-2, სვ, სქ, სც-2 და დს) ასევე არის შეუზღუდავი.

საპროექტო შენობის შემოთავაზებული სართულიანობაა მიწის ზემოთ 23 სართული (მიწისქვეშა სამი სართული), შემოთავაზებული სიმაღლე გამოთვლილია წესების მიხედვით და შეადგენს 76.00 მეტრს (შენობის სიმაღლე განსაზღვრულია მიწის დონის ნიშნულიდან და აბსოლიტური სიმაღლე შეესაბამება 440.80 მეტრის).

საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით განსაზღვრული შენობის სიმაღლე, სართულიანობა და დაკავებულობის ფართობები განსაზღვრულია წესების შესაბამისად და აკმაყოფილებს მე-5 თავის 503 - ცხრილის მოთხოვნებს.

შენიშვნა:

პროექტანტის მიერ შერჩეული კონსტრუქციის ტიპი აკმაყოფილებს განსაზღვრულ ყველა მინიმალურ მოთხოვნას.

სიმაღლისა და ფართობი აკმაყოფილებს განსაზღვრულ ყველა მინიმალურ მოთხოვნას.

დამკვეთი

ექსპერტი შემსრულებელი

არქიტექტორი | ო. ნადირაძე

აღნიშნულ ნაწილში წარმოდგენილი პროექტი აკმაყოფილებს „წესების“ მოთხოვნებს, კერძოდ:

გასასვლელების სისტემაში შემავალი სამივე ელემენტის (გასასვლელთან მისადგომი, გასასვლელი, შენობიდან გამოსასვლელი) ანალიზი განხორციელდა შენობის თითოეული სართულის დაკავებულობის დატვირთვის, გასავლელამდე სავალი მანძილის, ჩიხურ დერეფნებთან დაკავშირებული შეზღუდვების და გასავლელის კომპონენტების ზომების საფუძველზე მე-10 თავის შესაბამისად.

წესების მე-10 თავის 1021.2 ქვეპუნქტის, და 1021.2(1) ცხრილიდან გამომდინარე შენობას ემსახურება ორი შიგა გასასვლელის გზა-კიბე, შიგა გასასვლელის გზა-კიბეები წესების 1009.3 ქვეთავის მოთხოვნებიდან გამომდინარე შემოზღუდულია ცეცხლმდეგი კედლებით, ცეცხლმდეგობის ხარისხი შეადგენს მინიმუმ 2 საათს.

შიგა გასასვლელის ორივე გზა-კიბეები აკმაყოფილებს წესების 909.20 ქვეთავის მოთხოვნებს, კვამლისგან დაცულ შემოზღუდულ სივრცეებთან დაკავშირებით და ორივე გზა-კიბე მოწყობილია 403.6.1 ქვეთავის მოთხოვნებს სახანძრო-სამაშველო დანაყოფისთვის მისადგომ ლიფტთან დაკავშირებით, რომელიც კომბინაციაშია ერთ-ერთ შიგა გასასვლელის კიბესთან, ორივე გასასასვლელის გზა-კიბე აღჭურვილია ჰაერდამწნევი სისტემებით.

შიგა გასასვლელის გზა-კიბეები პირველ (მიწისპირა) სართულზე (±0.00 ნიშნულზე) გრძელდება 1023 ქვეთავის მიხედვით მოწყობილი გასასვლელის გზა-დერეფნებით და მთავრდება1027 ქვეთავის მიხედვით მოწყობილი შენობიდან გამოსასვლელი გზა-კარებით, რომლებიც გადის ეზოში.

გასასვლელები გადანაწილებულია შემდეგნაირად:

-6.00 და -3.00 ნიშნულზე განთავსებულ სართულზე გათვალისწინებულია 2 გასასვლელი გზა-კიბის სახით, განთავსებული კიბის საშუალებით ვხვდებით პირდაპირ საპროექტო ტერიტორიაზე, საიდანაც დაუბრკოლებლად ვხვდებით საზოგადოებრივ სივრცეში. „1-2 “ და „5-6“ ღერძებში განთავსებული კიბის საშუალებით, დაუბრკოლებლად ვხვდებით ±0,00 ნიშნულზე, „1-2“ და „5-6“ ღერძებში განთავსებული კიბის საშუალებით ვხვდებით როგორც ±0,00 ნიშნულზე, ასევე დანარჩენ სართულებზე. გასასვლელსა ან გასასვლელთან მისადგომი გზა-კარის დაშორება აღემატება 9 მ-ს. ასევე გზა-კიბეები გამიჯნულია შენობის საერთო დიაგონალის მაქსიმალური სიგრძის 42,3 მ.-ის, არანაკლებ მეოთხედით - 22,2 მ.-ით, რომელიც სრულად აკმაყოფილებს 403.5.1 ქვეთავის მოთხოვნას. „წესების“ მოთხოვნებს აკმაყოფილებს, აგრეთვე თითოეული სივრციდან გასასვლელი კარების რაოდენობა და ერთმანეთთან დაშორება.

±0,00 ნიშნულზე განთავსებული სართულის გამოსასვლელი გზა-კარის რაოდენობა აჭარბებს მინიმალურ მოთხოვნას, და არსებული ყველა გასასვლელი გზა-კარი პირდაპირ მიწის დონეს უკავშირდება, საიდანაც დაუბრკოლებლად ვხვდებით შენობის გარეთ, შენობის ეზოში რომელიც უკავშირდება საზოგადოებრივ სივრცეს. აგრეთვე დაცულია თითოეული სივრციდან გასასვლელი კარების რაოდენობა და ერთმანეთთან დაშორება.

+17,00 ნიშნულიდან 71,40 ნიშნულის ჩათვლით განთავსებულია ბინები, რომელთაც თითოეულს მოეთხოვება თითო გასასვლელი გზა-კარის სახით, რაც პროექტით გათვალისწინებულია, ხოლო თითოეულ სართულს, დაკავებულობის დატვირთვიდან გამომდინარე გააჩნია 2 გასასვლელი შიგა გასასვლელი გზა-კიბის სახით. (ამ გასასვლელების ერთმანეთთან დაშორებაზე ზემოთ უკვე ვისაუბრეთ). ერთი კიბით ვხვდებით ±0,00 ნიშნულზე განთავსებულ დერეფანში, რომელიც გარეთ გასასვლელს ემსახურება, რაც დასაშვებია 1009.2 ქვეთავის მიხედვით, ხოლო მეორე კიბით ვხვდებით ±0,00 ნიშნულზე განთავსებულ დერეფანში, რომელსაც გააჩნია გასასვლელი გზა-კარი და ასევე უკავშირდება მიწისქვეშა სართულებსაც. გასასვლელიდან ვხვდებით შენობის გარეთ, ეზოში. ერთი გზა-კიბე გრძელდება სახურავის ზედაპირამდე, რაც აკმაყოფილებს 1009.16 ქვეთავის მოთხოვნებს;

ვინაიდან შენობა არის მაღლივი, გზა-კიბეები არის დაუკვამლიანებელი, მათში დაწნევის სისტემის მოწყობით და ნიავდება მექანიკურად, ასევე გზა-კიბეები შემოზღუდულია 2 საათიანი ცეცხლმედეგი კედლებით. გზა-კიბეების შემომზღუდავებში მდებარე ღიობები დაცულია 1,5 საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხის მქონე კარის ანაწყობებით, რაც აკმაყოფილებს 716.5 ცხრილის მოთხოვნებს.

გასასვლელთან მისადგომი მაქსიმალური სავალი მანძილი აკმაყოფილებს 1021.2(1) ცხრილის მოთხოვნებს. გასასვლელი და გასასვლელთან მისადგომი გზა-კიბეები მოწყობილია 1009 ქვეთავის შესაბამისად და აკამყოფილებს ყველა აუცილებელ მოთხოვნას. გასასვლელთან მისადგომი დერეფნები მოწყობილია 1018 ქვეთავის, ხოლო გასასვლელი გზა-კარები მოწყობილია 1008 ქვეთავის შესაბამისად, ყველა მათგანი აკამყოფილებს ყველა აუცილებელ მოთხოვნას, რასაც ქვემოთ უფრო დეტალურად განვიხილავთ.

გასასვლელი გრძელდება 1027 ქვეთავის მიხედვით მოწყობილი შენობიდან გამოსასვლელით და სრულდება საზოგადოებრივ გზაზე.

შენობიდან გამოსვლა საზოგადოებრივ სივრცეში ხდება დაუბრკოლებლად საპროექტო მიწის ნაკვეთის გავლით.

როგორც ზემოთ აღინიშნა, გასასვლელი და გასასვლელთან მისადგომი გზა-კიბეები მოწყობილია 1009 ქვეთავის შესაბამისად. გზა-კიბეების მინიმალური სიგანე განსაზღვრულია 1009.4 ქვეთავის და შენობის სართულზე მაქსიმალური დაკავებულობის დატვირთვის (დამკავებელი) მიხედვით, გზა-კიბეების გამტარუნარიანობის გამოსათვლელად გამოყენებულია 1005.3.1. ქვეთავში განსაზღვრული ფაქტორი (7,6 მმ). პროექტის მიხედვით გათვალისწინებულია დასაშვებ მინიმუმზე (1,1 მ) მეტი სიგანის გზა-კიბე (1.3 მ) და მიღებული სიგანე შენარჩუნებულია შენობის ყველა სართულისთვის. შიგა გასასვლელის გზა-კიბე ასევე აკმაყოფილებს 1009.7, 1009.8 და 1009.15 ქვეპუნქტების მოთხოვნებს, კიბის საფეხურებთან, ბაქნებთან და სახელურებთან დაკავშირებით (იხილეთ გზა-კიბის დეტალური ნახაზი). გზა-კიბეში შემავალი და მიწისპირა სართულზე შენობიდან გამოსასვლელი გზა-კარები მოწყობილია 1008 ქვეთავის მიხედვით და ასევე აკმაყოფილებს 716.5 ქვეპუნქტის მოთხოვნას, ცეცხლმედეგ კედელში ჩასმულ ღიობებთან დაკავშირებით, რადგან 1009.3.1.1 ქვეპუნქტის მიხედვით გზა-კიბის ცეცხლმედეგ ზღუდეს მოეთხოვება 2 საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხი, შესაბამისად მასში ჩასმული გზა-კარის ცეცხლმედეგობის ხარისხი 90 წუთია.

გასასვლელების სისტემაში შემავალი დერეფნები მოწყობილია 1018 ქვეთავის შესაბამისად და აკამყოფილებს ყველა აუცილებელ მოთხოვნას. 1018.1 ცხრილის მიხედვით დერეფნის კედლების ცეცხლმედეგობის ხარისხი გათვალისწინებულია დასაშვებ მინიმუმზე მეტი (1 სთ) - 2 საათი. დერეფნის მინიმალური სიგანე განსაზღვრულია 1018.2 ქვეთავის და თითოეულ სართულზე დაკავებულობის დატვირთვის ჯამური მაჩვენებლის მიხედვით, დერეფნების გამტარუნარიანობის გამოსათვლელად გამოყენებულია 1005.3.2. ქვეთავში განსაზღვრული ფაქტორი (5,1 მმ). პროექტის მიხედვით გათვალისწინებულია დასაშვებ მინიმუმზე (0,9 მ) მეტი სიგანის დერეფანი- 1,5 მ.

გასასვლელი გზა-კარები მოწყობილია 1008 ქვეთავის შესაბამისად და აკამყოფილებს ყველა აუცილებელ მოთხოვნას. გზა-კარის მინიმალური სიგანე განსაზღვრულია 1008.1.1 ქვეთავის და მაქსიმალური დაკავებულობის დატვირთვის მიხედვით, გზა-კარების გამტარუნარიანობის გამოსათვლელად გამოყენებულია 1005.3.2. ქვეთავში განსაზღვრული ფაქტორი (3,8 მმ). გასასვლელის გზა-კარების მოთხოვნილი სუფთა მინიმალური სიგანე შეადგენს 0.82 მეტრს, ხოლო პროექტით გათვალისწინებული, გასასვლელების სისტემაში შემავალი ყველა გზა-კარების სუფთა თავისუფალი სიგანე შეადგენს მინიმუმ 0,9 მეტრს.

პროექტში ასევე გათვალისწინებულია ვესტიბიულები კიბის უჯრედებთან და მიწისქვეშა სართულზე ლიფტთთან, რომლებიც სრულად აკმაყოფილებს 909.20 ქვეთავებს.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ცეცხლმედეგ კედლებსა და ტიხრებში ჩასმული ყველა გზა-კარი აკმაყოფილებს 716.5 ქვეთავის მოთხოვნას ღიობის ცეცხლმედეგობასთან დაკავშირებით.

შენობის სართულებზე არსებული თითოეული დაკავებულობისთვის და იმ სივრცეებისთვის, რომლებშიც ეს დაკავებულობები ფუნქციონირებენ გასასვლელების და გასავლელების(ავეჯებს შორის-საცხოვრებელ, საქმიან) რაოდენობა (1021 ქვეთავის მიხედვით) და გამტარუნარიანობა, განსაზღვრულია 1008 ქვეთავის, დაკავებულობის დატვირთვის (1004 ქვეთავი) და 1005.3.2. ქვეთავში განსაზღვრული ფაქტორის (5,1მმ) მიხედვით, აკმაყოფილებს განსაზღვრულ ყველა მინიმალურ მოთხოვნას. ასევე, წესების 1017.5 ქვეთავის მოთხვნას გასავლელის დაშვებულ მინიმუმთან (90 სმ) დაკავშირებით.

შენიშვნა:

გზა-კიბეების შემომზღუდავში ჩაყენებული კარები წესების 907.3 ქვეთავის შესაბამისად დაყენებული კვამლაღმომჩენების გააქტიურებისთანავე ან კვამლაღმომჩენის ან კარის ღიად დამჭერი მექანიზმისათვის ელექტრომომარაგების შეწყვეტისთანავე ავტომატურად უნდა იხურებოდეს. ავტომატურად დაკეტვადი კარების ავტომატურად დახურვას, კვამლაღმომჩენის გააქტიურების შემდეგ 10 წამზე მეტი არ უნდა დასჭირდეს.

წარმოდგენილი პროექტი შესრულებულია დამკვეთის დავალებით, "ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის დადგენილების", "საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის N41 დადგენილების" და "საქართველოს მთავრობის 732 დადგენილების" შესაბამისად.

ტექნიკური რეგლამენტის "მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების" შესაბამისობის განმარტებაში განხილული საკითხები:

1. შენობა;
2. მისაწვდომი სვლაგეზი;
3. ადგილისა და შენობის ზოგადი ელემენტები;
4. საცხოვრებელი ერთეულები და საძინებელი ერთეულები;

შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების მე-11-თავის მიხედვით, გეგმარების კონცეფციაში არის მითითებული მისაწვდომობის სვლაგეზი, რის საშუალებითაც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს შეუძლიათ შენობაში შესვლა, სასურველი დანიშნულების სივრცეში შესვლა-გამოსვლა და შენობიდან გამოსვლა, ასევე მე-11 თავის მიხედვით განსაზღვრულია მისაწვდომი მთავარი შესასვლელი.

საპროექტო შენობის ±0.000 ნიშნულის სართულზე ყველა შესასვლელი გადის უსაფრთხო ბილიკზე, საიდანაც უკავშირდება საზოგადოებრივ სივრცეს, აქედან გამომდინარე შესასვლელი არის უზრუნველყოფილი მისაწვდომი სვლაგეზი წესების 1109.12.3-1109.13 ქვეთავის მიხედვით. ასევე, ამავე სართულზე არსებული კომერციული სივრცე უზრუნველყოფილია მისაწვდომი სანიტარულ-ჰიგიენური კვანძით, რაც აკმაყოფილებს 1109.2 ქვეთავის მოთხოვნებს. ამავე ნიშნულიდან ვხვდებით ლიფტის ფოიეში, რომლის საშუალებითაც ვუკავშირდებით შესაბამისად ყველა სართულს.

სქ ჯგუფის დაკავებულობებში მისაწვდომი საოფისე ერთეულები განთავსებულია 1107.6.2.1.1 ქვეპუნქტის მიხედვით. გათვალისწინებულია შშმ პირებისთვის განკუთვნილი მისაწვდომი ერთეული, სადაც განთავსდება შესაბამისი სტანდარტით მოწყობილი ხელსაწყო, ელემენტი, მაკონტროლებელი და გამანაწილებელი.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ცეცხლმედეგ კედლებსა და ტიხრებში ჩასმული ყველა გზა-კარი აკმაყოფილებს 716.5 ქვეთავის მოთხოვნას ღიობის ცეცხლმედეგობასთან დაკავშირებით.

შენობის სართულებზე არსებული თითოეული დაკავებულობისთვის და იმ სივრცეებისთვის, რომლებშიც ეს დაკავებულობები ფუნქციონირებენ გასასვლელების და გასავლელების (ავეჯებს შორის-საცხოვრებელ, საქმიან) რაოდენობა (1021 ქვეთავის მიხედვით) და გამტარუნარიანობა, განსაზღვრულია 1008 ქვეთავის, დაკავებულობის დატვირთვის (1004 ქვეთავი) და 1005.3.2. ქვეთავში განსაზღვრული ფაქტორის (5,1მმ) მიხედვით, აკმაყოფილებს განსაზღვრულ ყველა მინიმალურ მოთხოვნას. ასევე წესების 1017.5 ქვეთავის მოთხოვნას გასავლელის დაშვებულ მინიმუმთან (90 სმ) დაკავშირებით.

სწორად არის განსაზღვრული მისაწვდომი სვლა-გეზი და აკმაყოფილებს 1104 ქვეთავის მოთხოვნებსა და დაგეგმილია ,,საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 დეკემბერის №732 დგენილების" შესაბანისად.

1) იატაკის ზედაპირები, საპროექტო შენობაში ყველა მისაწვდომი სივრცეების იატაკები, მოეწყობა ეროვნული სტანდარტის 302_ე ქვეთავის შესაბამისად; სართულშუა გადახურვა არის რკინაბეტონის ფილა, რომელიც მოჭიმულია ქვიშაცემენტის ხსნარით და მოპირკეთებულია კერამიკული ფილით ან ბეტონის მოხვეწილი ფილით, სადაც იატაკის დონის ცვლილება არ არის დაგეგმილი.

2) მოსატრიალებელი სივრცეები, საპროექტო შენობაში დაგეგმილია ეროვნული სტანდარტის 304_ე ქვეთავის შესაბამისად;
ყველა მისაწვდომ სივრცეებში, მოსატრიალებელი სივრცეები შეესაბამება 304,3,1 და 304,3,2 ქვეთავებს. სველ წერტილებში სივრცეები შეესაბამება 304,3,1 ქვეთავში განსაზღვრულ 1700 მმ_იანი დიამეტრის მოსატრიალებელს (ნახაზი 1,1) და დერეფნებში სივრცეები შეესაბამება 304,3,2 ქვეთავში განსაზღვრულ T-ს ფორმის მოსატრიალებელს. (ნახაზი 1,2)



ნახაზი 1,1

3) იატაკის თავისუფალი სივრცე, საპროექტო შენობაში ყველა მისაწვდომის სივრცეები დაგეგმილია ეროვნული სტანდარტის 305_ე ქვეთავის შესაბამისად; ყველა მისაწვდომ სივრცეებში იატაკის თავისუფალი სივრცის სიგანე შეადგენს არაუმცირეს 1300 მმ-ს და სიგანე არაუმცირეს 760 მმ-ს.

4) თავისუფალი სივრცეები მუხლის სიმაღლემდე და ფეხის ფალანგისთვის, საპროექტო შენობაში ყველა მისაწვდომ სივრცეებში ელემენტების მონტაჟი განხორციელდეს ეროვნული სტანდარტის 306_ე ქვეთავის შესაბამისად.



ნახაზი 1,2

5) გამოშვერილი საგნები, საპროექტო შენობაში ყველა მისაწვდომ სივრცეებში, მიმოსვლის ბილიკებზე გამოშვერილი საგნები ეროვნული სტანდარტის 307_ე ქვეთავს შეესაბამება;

6) მიწვდომის დიაპაზონი, საპროექტო შენობაში ყველა მისაწვდომ სივრცეებში, მიმოსვლის ბილიკებზე, ეროვნული სტანდარტის 308_ე ქვეთავს შეესაბამება და არის შეუზღუდავი.

7) ელემენტის სამართავები, საპროექტო შენობაში ყველა მისაწვდომ სივრცეებში, მიმოსვლის ბილიკებზე ეროვნული სტანდარტის 309_ე ქვეთავს შეესაბამება;

შენიშვნა:
„სტანდარტის" მე-3 თავის 301,2 შესაბამისად; თუ სხვაგვარად არ არის განსაზღვრული, დასაშვებია, იატაკის თავისუფალი სივრცეები, თავისუფალი ფართობები მოწყობილობებთან და მოსატრიალებელი სივრცეები ერთმანეთს ფარავდეს.

დამკვეთი
შპს „არქიბრამ"
ექსპერტი შემსრულებელი
არქიტექტორი თ. ნოჯაიძე

მისაწვდომობის შეფასება

2. მისაწვდომი სვლაგეზი

„მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების“ მე-4 თავის შესაბამისად

ფ № 15

VI

საექსპერტო შეფასება

1) კომპონენტები საპროექტო შენობაში, რომლებიც მოწყობილია მისაწვდომ სვლაგეზზე;
კარები და გზა-კარები, ლიფტი, სავალი ნაწილები, ყველა შეესაბამება ეროვნული სტანდარტის 402_ე ქვეთავს.

2) იატაკის ზედაპირები, საპროექტო შენობაში ყველა მისაწვდომის სივრცეების იატაკები მოეწყობა ეროვნული სტანდარტის 302_ე ქვეთავის შესაბამისად; სართულშუა გადახურვა არის რკინაბეტონის ფილა, რომელიც მოჭიმულია ქვიშაცემენტის ხსნარით და მოპირკეთებულია კერამიკული ფილით ან ბეტონის მოხვეწილი ფილით, სადაც იატაკის დონის ცვლილება არ არის დაგეგმილი.

3) თავისუფალი სიგანე, საპროექტო შენობაში დაგეგმილია ეროვნული სტანდარტის 403,5_ე ქვეთავის შესაბამისად;
ყველა მისაწვდომი სვლაგეზის თავისუფალი სიგანე შეესაბამება 403,5,1_ე ქვეთავის და შეადგენს არა უმცირეს 1,5 მეტრს.

4) თავისუფალი სიგანე 90 გრადუსიანი ბრუნის შემთხვევაში, საპროექტო შენობაში დაგეგმილია ეროვნული სტანდარტის 403,5,3_ე ქვეთავის შესაბამისად, ასევე მისაწვდომი სვლაგეზის მინიმალური სიგანიდან გამომდინარე (1,5 მ.) გვერდისასავლელი სივრცეების მოწყობა არ ესაჭიროება.

5) კარი და გზა-კარები, საპროექტო შენობაში ყველა მისაწვდომი სივრცეები დაგეგმილია ეროვნული სტანდარტის 404_ე ქვეთავის შესაბამისად და აკმაყოფილებს 404,2,2_ე პუნქტის ყველა მოთხოვნას. (ნახაზი 2,1)
თავისუფალი სივრცეები კარებთან მანევრირებისთვის შეესაბამება 404,2,2_ე პუნქტის ყველა მოთხოვნას.
იატაკის ზედაპირები მოწყობილია 302_ე ქვეთავის შესაბამისად.

6) ანჯამიანი კარები, საპროექტო შენობაში ყველა მისაწვდომი სივრცეები დაგეგმილია ეროვნული სტანდარტის 404_ე ქვეთავის შესაბამისად და აკმაყოფილებს 404,2,3,2_ე პუნქტის ყველა მოთხოვნას.

7) ორი კარები მწკრივში, საპროექტო შენობაში ყველა მისაწვდომი სივრცეები დაგეგმილია ეროვნული სტანდარტის 404_ე ქვეთავის შესაბამისად და აკმაყოფილებს 404,2,5_ე პუნქტის ყველა მოთხოვნებს.
(ნახაზი 2,2)

8) წარმოდგენილი შენობაში მოწყობილია ორი ლიფტი.
ორი ლიფტი 403.6.1 ქვეთავის მოთხოვნებიდან გამომდინარე არის სახანძრო სამაშველო დანაყოფისათვის მისადგომი ლიფტები, რომელიც შეესაბამება 1707 ქვეთავის მოთხოვნებს. 1707.7 პუნქტის შესაბამისად თითოეული სახანძრო სამაშველო ლიფტი შემოზღუდულია ფოიეს საშუალებით, რომელიც ნორმებიდან გამომდინარე არ არის ნაკლები 10 კვ. მ, 1707.7.1 პუნქტის მიხედვით სახანძრო-სამაშველო დანაყოფისთვის მისადგომი ლიფტის ფოიე უშუალოდ უნდა უკავშირდებოდეს შიგა გასასვლელის გზა-კიბისთვის განკუთვნილ შემომზღუდავს, რაც პროექტში გათვალისწინებულია და აკმაყოფილებს ნორმებს.
ლიფტები თავისი ზომებიდან გამომდინარე შეესაბამება ნორმების მოთხოვნებს, სადაც შესაძლებელია საკაცის (215X60 სმ განთავსება.
ლიფტის შახტა შემოზღუდულია ფოიეს საშუალებით.



ნახაზი 2,1



ნახაზი 2,2

შენიშვნა:
შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების მე-11-თავის მიხედვით გეგმარების კონცეფციაში არის მითითებული მისაწვდომობის სვლაგეზი, რისი საშუალებითაც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს შეუძლიათ შენობაში შესვლა, სასურველი დანიშნულების სივრცეში, შესვლა-გამოსვლა და შენობიდან გამოსვლა, ასევე მე-11 თავის მიხედვით განსაზღვრულია მისაწვდომი მთავარი შესასვლელი. მიწისპირა სართულზე, ყველა შესასვლელი გადის უშუალოდ მიწის დონეზე, აქედან გამომდინარე ყველა შესასვლელი არის მისაწვდომი.

დამკვეთი

შპს „არქიბარამ"

ექსპერტი შემსრულებელი

არქიტექტორი თ. ნაკვაიძე

1) საავტომობილო სივრცეები, საპროექტო შენობაში დაგეგმილია ეროვნული სტანდარტის 502,2-502,8_ე ქვეთავის შესაბამისად;
ყველა მისაწვდომ ავტოსადგომს გააჩნია მისაწვდომი გასავლელი, რომლის სიგანე და სიგრძე შეესაბამება 502,4_ე ქვეთავის და შეადგენს არა უმცირეს 1,5 * 2,5 მეტრს (ნახაზი 3,1);

2) გზა-კიბეები, საპროექტო შენობაში ყველა სივრცე დაგეგმილია ეროვნული სტანდარტის 504_ე ქვეთავის შესაბამისად და აკმაყოფილებს 504,2_ე პუნქტის ყველა მოთხოვნას (ნახაზი 3,2);

3) სახელურები, საპროექტო შენობაში ყველა სივრცები დაგეგმილია ეროვნული სტანდარტის 505_ე ქვეთავის შესაბამისად (ნახაზი 3,3);



(ნახაზი 3,1)



(ნახაზი 3,2)



(ნახაზი 3,3)







შენიშვნა:

საპროექტო შენობა დაგეგმილია საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილების "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების" მიხედვით .

დამკვეთი	
შპს „არქიბრამ"	
ექსპერტი შემსრულებელი	
არქიტექტორი	თ. ნიკაიძე

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილების "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების" 1107 ქვეთავის და 1007,2 პუნქტის შესაბამისად, შეესაბამება მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების მე-11 თავის შესაბამის ქვეთავებს. (ერთეულები, რომლებიც ა ტიპის უნდა იყოს, დასაშვებია დაგეგმარდეს და აიგოს, როგორც მისაწვდომი ერთეულები. ერთეულები, რომლებიც ბ ტიპის უნდა იყოს, დასაშვებია დაგეგმარდეს და აიგოს, როგორც მისაწვდომი ერთეულები ან როგორც ა ტიპის ერთეულები)

გამონაკლისი:

მრავალბინიან შენობებში საცხოვრებელი ერთეულები (მუდმივი საცხოვრებელი ერთეულები (ბინები)) დასაშვებია დაგეგმარდეს და აიგოს ისე, რომ საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელი იყოს საცხოვრებელი ერთეულის (ბინის) მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების შესაბამის მისაწვდომ ერთეულად, ა ტიპის ერთეულად ან ბ ტიპის ერთეულად მოწყობა.

N41 დადგენილების 1107.6.2.1_ს შესაბამისად მრავალბინიანი სახლები, ა და ბ ტიპის ერთეულები 1107.6.2.1.1 და 1107.6.2.1.2 ქვეთავების შესაბამისად უნდა მოეწყოს.

1107.6.2.1.1_ შესაბამისად ა ტიპის ერთეულები, სც-2 ჯგუფის დაკავებულობებში, რომლებზეც განთავსებულია 20-ზე მეტი საცხოვრებელი ან საძინებელი ერთეული, ა ტიპის ერთეული უნდა იყოს 2%, მაგრამ, არანაკლებ 1.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან, საპროექტო შენობაში დაგეგმილია 198 საცხოვრებელი ერთეული და მის 2%_ს შეადგენს 4 საცხოვრებელი ერთეული, თუმცა ყველა სართულსა და საცხოვრებელ ერთეულში საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია საცხოვრებელი ერთეულების (ბინების) მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების შესაბამის მისაწვდომ ერთეულად, ა ტიპის ერთეულად ან ბ ტიპის ერთეულად მოწყობა.

1) მთავარი შესასვლელები, საპროექტო შენობაში დაგეგმილი ყველა საცხოვრებელი ერთეული მისაწვდომია და შეესაბამება ეროვნული სტანდარტის 1102_ე ქვეთავს, ყველა მისაწვდომის შესასვლელი მდებარეობს მისაწვდომ სვლაგეზზე, საერთო გამოყენების ფართობებიდან.

2) კარები და გზა-კიბეები, საპროექტო შენობაში ყველა ერთეულის მთავარი და ყველა სხვა გზა-კარი, რომელიც დამკავებელმა უნდა გაიაროს შეესაბამება ეროვნული სტანდარტის 1102,5 და 404-ქვეთავს.

გამონაკლისები:

2. სანიტარულ ჰიგიენური კვანძები, რომელებიც არ საჭიროებს 1102,11,2 ქვეთავთან შესაბამისობას, 404,2,3 ქვეთავით მოთხოვნილი მანევრირების სივრცე, საჭირო არ არის მდებარეობდეს კარის იმ მხარეს, სადაც ტუალეტი ან სააბაზანოა.

5. ინდივიდუალურ საძინებელ ერთეულებს შორის დამაკავშირებელი კარები სავალდებულო არ არის, შეესაბამებოდეს 404,2,5 ქვეთავს.

6. მთავარი შესასვლელის კარი გარდა, სადაც გარე სივრცის აივნების ზომები ნაკლებია მანევრირებისთვის განკუთვნილ თავისუფალ სივრცეზე, კარის მანევრირების თავისუფალი სივრცე საჭირო არ არის განთავსდეს კარის გარეთა მხარეს.

7. 404-ე თავით მოთხოვნილი მანევრირებისთვის განკუთვნილი თავისუფალი სივრცე არ არის აუცილებელი, არსებობდეს 1102,3,2 ქვეთავის მეორე გამონაკლისის შესაბამის ტანსაცმლის სათავსებსა და საკუჭნაოებში.

შენიშვნა:

საპროექტო შენობა დაგეგმილია საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილების "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების" შესაბამისად.

დამკვეთი

შპს „არძიბრამ"

ექსპერტი შემსრულებელი

არქიტექტორი | ო. ნიკაიძე

საექსპერტო შეფასება

გარე კედლებისადმი მოთხოვნებისა და სახურავის ანაწყობების შეფასება

ფ № 18

განსხვავებული ხანძარსაწინააღმდეგო მანძილების გათვალისწინებით საპროექტო შენობების კედლებს, 602 ცხრილის მიხედვით, სხვადასხვა ცეცხლმედეგობის ხარისხი ეკუთვნის.

ცეცხლმედეგ კედლებში ჩასმული ღიობის ცეცხლისაგან დამცავი ანაწყობები (კარები, ფანჯრები) აკმაყოფილებს წესების 705.8 და 716.5 ცხრილების მოთხოვნებს ფართობისა და ცეცხლმედეგობის ხარისხის მიხედვით, ასევე 705.8.5 ქვეპუნქტის მოთხოვნებს ღიობების შვეულ გამიჯვნასთან დაკავშირებით.

შენობას გააჩნია პარაპეტი, რომელიც აკმაყოფილებს 705.11 ქვეთავს.

საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით წარმოდგენილი გარე კედლების მოწყობა უნდა განხორციელდეს წესების 1404, 1405, 1406, 1407 და 1408 ქვეთავების მოთხოვნების შესაბამისად, გარე კედლების საფართან, წვად, ლითონშემცველ და მოსაპირეკეთებელ მასალებთან დაკავშირებით.

რადგან ღიობების ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი 9 მ-ზე მეტია 705,8 ცხრილის მიხედვით დაუცველი ღიობების დასაშვები ფართობი შეუზღუდავია.

გარე კედლის ცეცხლმედეგობისა და ღიობებისადმი მოთხოვნები ცხრილები 602 -ის და 705.8 -ის მიხედვით

გარე კედელი	ხანძარსაწი-ნააღმდეგო მანძილი (მეტრი)	ცეცხლმედეგობის ხარისხი (საათი)		კედლის ღიობების ფართობი (კედლის %)					
				დასაშვები			გათვალისწინებული		
		მოთხოვნი-ლი	გათვალისწი ნებული	დაუცვე-ლი	დაუცველი სამხეფებით	დაცული	დაუცვე-ლი	დაუცველი სამხეფებით	დაცული
“დ”-“ა” ღეძებში	4 ≤ 4,4 < 9	0	2	შეუზღუ დავი	45 %	შეუზღუ დავი	–	–	–
“ა”-“დ”ღეძებში	>9	0	2	შეუზღუ დავი	შეუზღუ დავი	შეუზღუ დავი	–	–	–
“7”-“1” ღეძებში	>9	0	2	შეუზღუ დავი	შეუზღუ დავი	შეუზღუ დავი	–	–	–
“7 ”-“1” ღეძებში	>9	0	2	შეუზღუ დავი	შეუზღუ დავი	შეუზღუ დავი	–	–	–

შენიშვნა:
გარე კარისა და ფანჯრის ანაწყობების, გაყვანილობების და გარე კედლის ანაწყობების დასრულების ადგილების პერიმეტრებთან, გარე კედლისა და სახურავის გადაკვეთასთან, საკვამურებთან, პორტიკებთან (კართანებთან), ტერასებთან (ბანებთან), აივნებთან და მსგავს ნაშვერებთან შეერთების ადგილებში, ასევე, ჩაშენებულ წყალსადინარ ღარებში და მსგავს ადგილებში, საიდანაც წყალმა შეიძლება კედელში შეაღწიოს. ჰიდროიზოლაცია უნდა მოეწყოს გამოშვერილი კიდლეების ორივე მხარეზე და ბოლოებთან კედლისზედა ბურულების, წოლანების ქვეშ და უწყვეტი გამოშვერილი გაფორმების თავზე.

გარე კედლების ცეცხლმედეგობის ხარისხი მოთხოვნილზე მეტს შეადგენს და აკმაყოფილებს 602 ცხრილის მოთხოვნებს.

სახურავის სტრუქტურის და არაძირითადი ნაწილების ცეცხლმედეგობის ხარისხი განსაზღვრულია წესების 601 ცხრილის მიხედვით, კონსტრუქციის ტიპის შესაბამისად. ცეცხლმედეგობის ხარისხი აღემატება I-A კონსტრუქციის ტიპისთვის განსაზღვრულ მინიმუმს (1.5 სთ) და აკმაყოფილებს მინიმუმ 2 საათიან ცეცხლმედეგობის ხარისხს.

შენობის გადახურვის ტიპი არის ბრტყელი (ქანობით მაქს.2 გრადუსი), გადახურვის ბურულად გამოყენებულია მემბრანული ტიპის რულონური მასალა (რუბეროიდი) და 1507.10 ქვეთავის მიხედვით აკმაყოფილებს მრავალშრიან სახურავებთან დაკავშირებულ მოთხოვნებს სახურავის ბურულის ხანძრის კლასიფიკაცია, კონსტრუქციული ანაწყობების მიხედვით ეკუთვნის A კლასს (ცხრილი1505.1ა) სახურავის ხარისხი განსაზღვრულია 1507.10.2 ცხრილის შესაბამისად და აკმაყოფილებს ASTM D 1227; D 2823; D 4479 ტიპს.

სახურავზე მოხვედრა შესაძლებელია შიგა გასასვლელის გზა-კიბის მეშვეობით, რაც აკმაყოფილებს წესების 1009.16 ქვეთავის მოთხოვნებს.

სახურავი ბოლოვდება 705.11.1 ქვეპუნქტის მიხედვით მთელ პერიმეტრზე მოწყობილი პარაპეტით მიუხედავად იმისა, რომ 705.11 ქვეპუნქტის მე-3 გამონაკლისის მიხედვით სახურავის ანაწყობის ცეცხლმედეგობის ხარისხის გამო (2 საათი) შენობას პარაპეტი არ მოეთხოვება.

შენიშვნა:
საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით წარმოდგენილი გადახურვის კონსტრუქციის და სახურავის ბურულის მასალის წესებით განსაზღვრული ცეცხლმედეგობის ხარისხის უზრუნველყოფაზე, რომელიც უნდა შეადგენდეს მინიმუმ 2 საათს, პასუხისმგებელია მასალის მომწოდებელი და მშენებლობის შემსრულებელი (ამშენებელი) მხარე, მასალის ხარისხი დადასტურებული უნდა იყოს შესაბამისი სერტიფიკატების მეშვეობით.

დამკვეთი
შპს „არქიბრაშ"
ექსპერტი შემსრულებელი
არქიტექტორი ო. ნიფაძე

საპროექტო შენობის თითოეული ნაწილი ინდივიდუალურად არის კლასიფიცირებული წესების 508 ქვეთავის შესაბამისად. პროექტში წარმოდგენილია ხუთი შერეული დაკავებულობა - სწ-2, დს, სვ, სქ და სც-2 ჯგუფების სახით.

სწ-2 (შემოზღუდული ავტოსადგომი გარაჟი) და დს (დამხმარე სათავსის დაკავებულობები) -9,00; -6,00 და-3,00 ნიშნულებზე გამიჯნულია 2 საათიანი ცეცხლმედეგობის მქონე კედლებით, რაც შეესაბამება წესების 508.4 ცხრილის მოთხოვნებს.

სც-2 (საცხოვრებელი ჯგუფის დაკავებულობები +17,00 ნიშნულიდან +71,40 ნიშნულამდე) საცხოვრებელი ერთეულები ერთმანეთისგან გამიჯნულია 2 საათიანი ცეცხლმედეგობის მქონე კედლებითა და მინიმუმ 2 საათიანი ცეცხლმედეგობის მქონე თარაზული ანაწყობით, რაც აკმაყოფილებს წესების 420.3 ქვეთავის მოთხოვნებს.

დს ჯგუფის დაკავებულობა (მექანიკური და საინჟინრო მოწყობილობების ოთახები შემოზღუდულია მინიმუმ 2 საათიანი ცეცხლმედეგობის მქონე კედლებით და მინიმუმ 2 საათიანი ცეცხლმედეგობის მქონე თარაზული ანაწყობით, რაც აკმაყოფილებს წესების 913-ე ქვეთავის მოთხოვნებს.

სვ ჯგუფის დაკავებულობა (სავაჭრო ჯგუფი ±0,00 ნიშნულზე და +3,90-ზე) შემოზღუდულია მინიმუმ 2 საათიანი ცეცხლმედეგობის მქონე კედლებით და მინიმუმ 2 საათიანი ცეცხლმედეგობის მქონე თარაზული ანაწყობით, რაც აკმაყოფილებს წესების 913-ე ქვეთავის მოთხოვნებს.

სქ ჯგუფის დაკავებულობა (საქმიანი ჯგუფი +6,60 ნიშნულზე) შემოზღუდულია მინიმუმ 2 საათიანი ცეცხლმედეგობის მქონე კედლებით და მინიმუმ 2 საათიანი ცეცხლმედეგობის მქონე თარაზული ანაწყობით, რაც აკმაყოფილებს წესების 913-ე ქვეთავის მოთხოვნებს.

კიბის უჯრედები დანარჩენი სივრცეებისგან გამიჯნულია 2 საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხის მქონე ზღუდეებით სადაც მოწყობილია 1,5 საათიანი ცეცხლმედეგობის თვითკეტებადი კარები, რაც აკმაყოფილებს 1009.3.1.2 ქვეთავის, 909.20.2.1 ქვეთავის და 716.5 ცხრილის მოთხოვნებს;

909,20,4 ქვეთავის შესაბამისად, ვესტიბიულის ბუნებრივი განიავება საჭირო არაა თუ მოწყობილია ალტერნატიური განიავება.

ჯგუფების დაკავებულობები ერთმანეთისგან გამიჯნულია მინიმუმ 2 საათიანი ცეცხლმედეგობის მქონე თარაზული ანაწყობით და ცეცხლმედეგი კედლებით , რაც შეესაბამება წესების 508.4 ცხრილის მოთხოვნებს. კედლების და თარაზული ანაწყობის ცეცხლმედეგობის ხარისხი განსაზღვრულია მასალიდან გამომდინარე, რომელიც აღწერილია წესების 721.1(1) და 721.1(2) ცხრილებში, საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით გამოყენებულია გაძლიერებული ბეტონის მონოლითური ფილა და ბეტონის ბლოკის კედელბი.

შენობაში არსებული ყველა შახტი, რომლებშიც განთავსებულია საცხოვრებელი ერთეულებისთვის და შენობის სხვა ნაწილებისთვის საჭირო გაყვანილობები და შიგა გასასვლელის გზა-კიბე შემოზღუდულია მინიმუ 2 საათიანი ცეცხლმედეგობის მქონე კედელებით, რაც აკმაყოფილებს შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების 713 ქვეთავის და 713.4 ქვეპუნქტის მოთხოვნებს.

შენიშვნა:

საჰაერო შახტის ღიობები დაცული უნდა იყოს 717.5.3. ქვეთავის მიხედვით დაყენებული ცეცხლისა და კვამლის ფარსაკეტებით.

დამკვეთი

ექსპერტი შემსრულებელი

არქიტექტორი თ. ნიქვაძე

901.2 ქვეთავის შესაბამისად; ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემები.

ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების დაგეგმარება, შეკეთება, მუშაობა და მოვლა, წესების შესაბამისად უნდა ხდებოდეს. ხანძრისგან დამცავი ნებისმიერი სისტემა ითვლება აუცილებელ სისტემად, რომლის მოსაწყობად წესების დებულებებზე გამონაკლისი ან შეზღუდვა დაიშვა.

გამონაკლისი: ხანძრისგან დამცავი ნებისმიერი სისტემა ან მისი ნაწილი, რომელიც წესების მიხედვით აუცილებელი არ არის, დასაშვებია, მოეწყოს სრული ან ნაწილობრივი დაცვის მიზნით, თუ ასეთი სისტემა წესების მოთხოვნებს აკმაყოფილებს

საპროექტო დოკუმენტაციით წარმოდგენილი და შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებით განსაზღვრული დაკავებულობებიდან, ასევე, შენობის ფართობიდან და სიმაღლიდან გამომდინარე საპროექტო შენობა უნდა აღიჭურვოს შემდეგი ხანძრისაგნ დაცვის აქტიური სისტემებით:

ავტოსაშხეფი სისტემა

სახანძრო მილდგარების სისტემა (განსაზღვრულია სწ-2 ში (ავტოსადგომი), სწ-2 ში არსებული დს-სთვის (დამხმარე სათავსი), სქ-სთვის (საოფისე) და სვ-სთვის (კომერციული))

სახანძრო განგაშის და ცეცხლაღმომჩენი სისტემა (ყველა დაკავებულობაში)

კვამლის საკონტროლო სისტემები (დერეფნები და ავტოსადგომი (დერეფნები აღჭურვილია ჰაერის მექანიკური განიავების სისტემით, ლიფტები და კიბეები აღჭურვილია ჰაერის დაწნევის სისტემით))

ხელის ცეცხლმაქრები (განსაზღვრულია სწ-2 ში (ავტოსადგომი), სწ-2 ში არსებული დს-სთვის (დამხმარე სათავსი) და სვ-სთვის (კომერციული))

ავარიული განათების სისტემა (სწ-2 და სვ ჯგუფის დაკავებულობებში სრულად, ყველა სხვა ნიშნულებზე დერეფნებში და კიბის უჯრედებში)

საპროექტო შენობა დაკავებულობის შესაბამისად არის აღჭურვილი საშხეფი სისტემებით.

ავტოსაშხეფი სისტემა უნდა დაყენდეს წესების 903.3.1.1 და 903.3.5.2 ქვეთავების მოთხოვნებიდან გამომდინარე, რომელიც გულისხმობს NFPA 13-ის სტანდარტის გამოყენებას, თუმცა წესების 102.3 ქვეთავის მიხედვით შესაძლებელია სხვა ეკვივალენტური სტანდარტის გამოყენებაც.

ფ № 21

ხანძრისაგან დაცვის სისტემების შეფასება

I კლასის სახანძრო მილდგარების სისტემა, საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით მთელ შენობაში გათვალისწინებულია, რომელიც შეესაბამება სახანძრო მილდგარებისადმი წესების 905.3.1-ის ქვეთავის მოთხოვნებს. მილდგარები ყველა სართულზე განთავსებულია დერეფანში, ასევე შემოზღუდული ავტოსადგომი გარაჟის (სწ-2), კომერციული (სვ) ფართობებზე რაც აკმაყოფილებს წესების 905.4 ქვეთავის მოთხოვნებს სახელოს მისაერთებლების მდებარეობასთან დაკავშირებით. წესების 905.4.1 ქვეთავის გამონაკლისის შესაბამისად I კლასის სახანძრო მილდგარების სისტემების დგარები და გვერდითი განშტოებები,რომლებიც შემოზღუდული გზა-კიბის საზღვრებში ან ჰერმეტულად დახურულ სივრცეში არ მდებარეობს, შესაძლებელია არ იყოს დაცული ცეცხლმედეგი კედლებით, რადგან შენობა აღჭურვილია ავტოსასშხეფი სისტემით.

განგაშის სისტემები:

წესების მე-9 თავის 907.2.8, 907.2.11.1 და 907.5.2.3.3-ე ქვეთავების შესაბმისად სც-2 ჯგუფის დაკავებულობებში, ყველა საცხოვრებელ ერთეულში დაყენებულია სახანძრო განგაშის, ვიზუალური განგაშის შეტყობინების და კვამლზე მორეაგირე მაუწყებლის მოწყობილობები. ასევე, სახანძრო განგაშის სისტემებით უზრუნველყოფილია სავაჭრო (სვ) და დამხმარე (დს) ჯგუფის დაკავებულობები.

კვამლის კონტროლისა და განიავების სისტემა:

საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით მითითებული კვამლის ავტომატური აღმომჩენი სისტემები უნდა უზრუნველყოფდეს წესების 907.2.13 და 907.2.14 ქვეთავების ყველა მოთხოვნას, ასევე 907.2 და 102.3 ქვეთავების მოთხოვნებს სისტემის მოწყობის სტანდარტთან დაკავშირებით.

შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების მოთხოვნებიდან და საპროექტო დოკუმენტაციიდან გამომდინარე კვამლის საკონტროლო სისტემები უზრუნველყოფილია შენობის ქვემოთ ჩამოთვლილ ნაწილებში:

კიბის უჯრედები - საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით შენობაში არსებულ ყველა კიბესთან უზრუნველყოფილია შახტების მოწყობა, რომელიც აღიჭურვება წესების 909.20.5 ქვეთავის მოთხოვნების შესაბამისად მოწყობილი ჰაერის დაწნევის სისტემით.

ლიფტი - წესების 909.21 ქვეთავის მოთხოვნებიდან გამომდიანრე და საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით შენობაში არსებული ლიფტი აღჭურვილია ჰაერის დაწნევის სისტემებით, ასევე მიწისქვეშა დონეზე განთავსებულ შემოზღუდულ ავტოსადგომ გარაჟში (სწ-2 ჯგუფის დაკავებულობა) ლიფტი დაგეგმარებულია მექანიკური განიავების მქონე ფოიეთი წესების 713.14.1 ქვეთავების მოთხოვნებიდან გამომდინარე. საპროექტო შენობაში განთავსებული ყველა კვამლის საკონტროლო სისტემა უნდა აკმაყოფილებდეს წესების 909.19 ქვეთავის მოთხოვნების სისტემის აღიარებასთან დაკავშირებით.

ხელის ცეცხლმაქრები, შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების 906.1 ქვეთავის მიხედვით განთავსებულია, სწ-2 ში (ავტოსადგომი), სწ-2 ში არსებული დს-სთვის (დამხმარე სათავსი) და სვ-ში (კომერციული) 906 ქვეთავის შესაბამისად.

შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების 912-ე ქვეთავის მიხედვით, საპროექტო შენობის ფასადის კედლებზე, რამდენიმე ადგილას გამოყოფილია ადგილები სახანძრო სამაშველო სამსახურის მიერ გამოსაყენებელი მისაერთებლებისთვის, რომლებიც ემსახურება შენობაში განთავსებულ სახანძრო მილდგარების და ავტოსაშხეფ სისტემებს. ავტოსაშხეფი სისტემებისთვის, (-9,00, -6,00 და -3.00 ნიშნულზე) დამატებით განთავსებულია წყლის რეზერვუარი, აქვე განთავსებულია სახანძრო ტუმბოები, რომელიც აკმაყოფილებს წესების 913-ე თავის მოთხოვნებს.

საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით და შენობა-ნაგებობის უსაფრთხოერბის წესებით მოთხოვნილი ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემები უნდა აკამყოფილებდეს წესების 901 ქვეთავის მოთხოვნებს, დაყენებასთან, აღიარებასთან და შემოწმებასთან დაკავშირებით.

წყალსადენი სისტემები და ფიქსირებული მოწყობილობები დადგენილია დაკავებულობის ჯგუფების მიხედვით და აკმაყოფილებს მინიმალურ მოთხოვნებს წესების მე-16 თავის მიხედვით.

პროექტით გათვალისწინებული თითოეული დაკავებულობისთვის (სწ-2; სვ; სქ და სც-2) განსაზღვრულია წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების რაოდენობა და მინიმალური მოთხოვნები 1602.2 ქვეთავისა და 1602.1 ცხრილის მიხედვით.

უნდა აღინიშნოს რომ 1602.3 ქვეპუნქტის გამონაკლისის მიხედვით შემოზღუდულ ავტოსადგომ გარაჟში (სწ-2) საზოგადოებრივი მოხმარების ტუალეტების განთავსება საჭირო არ არის.

პროექტის მიხედვით სვ ჯგუფის დაკავებულობისთვის არის განსაზღვრული წყალსადენის ფიქსირებული მოწყობილობები, მათი განლაგება და რაოდენობა აკმაყოფილებს წესების 1602.1 ქვეთავის მოთხოვნებს, ასევე ტუალეტების მდებარეობა აკამყოფილებს წესების 1602.3.2 ქვეთავის მოთხოვნას და მათთან მისასვლელი სავალი ბილიკის სიგრძე არ აღემატება 150 მეტრს. სქ ჯგუფის დაკავებულობებისთვის გათვალისწინებულია შშმ პირთათვის საზოგადოებრივი მოხმარების ტუალეტების განთავსება,

სც-2 ქვეჯგუფის დაკავებულობებში, წყალსადენის ფიქსირებული მოწყობილობების რაოდენობა განსაზღვრულია თითოეული საცხოვრებელი ერთეულიდან (საცხოვრებელი ფართიდან) გამომდინარე და აკმაყოფილებს მინიმალურ რაოდენობებს.

წყალსადენი სისტემების და ფიქსირებული მოწყობილობების აუცილებელი მისაწვდომი საერთო რაოდენობა სწორად არის დადგენილი1109.2 ქვეთავის მიხედვით.

ლიფტის შეფასება:

საპროექტო შენობაში გათვალისწინებულია ერთი ლიფტი, რომელიც უზრუნველყოფს სახანძრო ბრიგადის ხელმისაწვდომობას. ლიფტის კაბინის გაბარიტები იძლევა იმის საშუალებას, რომ მასში 60სმ X 2,15მ. ზომის, არანაკლებ 13 სმ რადიუსის კუთხეებიანი საკაცე განთავსდეს და აკმაყოფილებს 1702.4 ქვეთავის მოთხოვნებს.

ავტოსადგომებისადმი მოთხოვნების შეფასება:

მიწისქვესა სართულებზე, ავტომობილი ხვდება 2 სამანქანო პანდუსის საშუალებით, რაც დაშვებულია 406.6.4 ქვეთავით. -3,00 ნიშნულზე, სადაც განლაგებულია 16 სამანქაე პარკინგი, მანქანა ხვდება პირველი პანდუსით, პანდუსის სიგანე 3.5 მ რაც აკმაყოფილებს 406.9.4.1ქვეთავის მოთხოვნას. , ხოლო -6.00 და -9,00 ნიშნულებზე განლაგებულია ჯამში 49 მანქანა, ამ ნიშნლებზე მანქანა ხვდება მეორე პანდუსის საშუალებით, გამომდინარე -9,00 და -6,00 ნიშნულებზე მანქანების ჯამური რაოდენობიდან 49<50-ზე მეორე პანდუსის სიგანეც შეადგენს 3,6 მეტრს.

ავტოსადგომების ზომები სიგრძეში არის 5,50 მ, ხოლო სიგანეში - 2,50 მ, რაც აკმაყოფილებს 406.9.3.1 და 406.9.3.2 ქვეთავის მოთხოვნებს.

ავტოსადგომების ზომების, განლაგების და გასავლელების მიმართ მოთხოვნები აკმაყოფილებს 406.9.4.3.1 ცხრილის მოთხოვნებს.

დასკვნა

ზემოაღნიშნული შეფასებიდან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტი შესაბამისობაშია „ტექნიკური რეგლამენტის – შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილების მოთხოვნებთან. საექსპერტო დასკვნის საფუძველზე პროექტს ეძლევა დადებითი შეფასება განსახორციელებლად.

საექსპერტო დასკვნაში წარმოდგენილი შეფასებები განხორციელდა დამკვეთის მიერ მოწოდებულ, არქიტექტურულ პროექტზე დაყრდნობით და შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების გამოყენებით (საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილება ტექნიკურ რეგლამენტის – "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე“). უნდა აღინიშნოს, რომ საპროექტო დოკუმენტაციის ცვლილება, ან მშენებლობის დროს განხორციელებული რაიმე სახის ცვლილება, რომელიც იქნება აღნიშნულ არქიტექტურულ პროექტთან შეუსაბამო, ავტომატურად გამოიწვევს წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნის და შეფასებების გაუქმებას, ასევე საჭიროს გახდის არქიტექტურული პროექტის კორექტირებას და ახალი საშშენებლო ნებართვის მიღების აუცილებლობას.

საექსპერტო დასკვნის საფუძველზე პროექტს ეძლევა დადებითი შეფასება.

გაფრთხილება!

1. კონსტრუქციული, საინჟინრო და სახანძრო უსაფრთხოების სისტემების პროექტები უნდა დამუშავდეს „შენობა ნაგებობის უსაფრთხოების წესები“-ს მოთხოვნების დაცვით.
2. სახანძრო სახელოების შემაერთებელი თავაკები (რომლებიც გამოყენებული იქნება სახანძრო მილდგარების სისტემის მისაერთებლებთან), აგრეთვე სახანძრო-სამაშველო სამსახურის მიერ გამოსაყენებელი მისაერთებელი, შეთანხმდეს სახანძრო-სამაშველო დანაყოფთან.
3. სათადარიგო ელექტრო მომარაგებით უზრუნველყოფილი უნდა იყოს:
- განიავების და ცეცხლის ავტომატური აღმომჩენი სისტემები;
- ლიფტი და ლიფტის კაბინის განათება;
- გასასვლელების ნიშნების და გასასვლელი სამუალებების განათება მე-10 თავის მოთხოვნათა შესაბამისად;
- საგანგებო ხმოვანი განგაშის საკომუნიკაციო სისტემები;
- სახანძრო განგაშის სისტემები;
- ელექტროენერგიაზე მომუშავე სახანძრო ტუმბოები (საქაჩები).

ექსპერტი:
თორნიკე ჩიკვაიძე ----------

თარიღი : 14.03.2024

შენიშვნა:
სახანძრო უსაფრთხოების სისტემების და მასთან დაკავშირებული საინჟინრო კომუნიკაციების პროექტები უნდა დამუშავდეს „შენობა - ნაგებობის უსაფრთხოების წესები“-ს მოთხოვნების დაცვით!

დამკვეთი
შპს „არქიბრამ"
ექსპერტი შემსრულებელი
არქიტექტორი თ. ჩიკვაიძე